ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3060697

ნომერი: AR1467705

თარიღი : 29.12.2016

გაცემის თარიღი : 24.01.2017

გაცნობის თარიღი : 24.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ი.პეტრიწი , N16, N16ა კორპუსების მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ი პეტრიწი , N16 და N16ა-ს შორის ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ი.პეტრიწი , N16, N16ა კორპუსების მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ი პეტრიწი , N16 და N16ა-ს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ იმერლიშვილი პ/ნ 01017044168
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქუჩა #16, #16ა კორპუსების მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი, ი პეტრიწის ქუცა #16 და 316ა-ს შორის, შპს „ემემ ჯგუფი“-ს საკუტრებაში არსებული ფართის ფასადზე (მოიჯარე - სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“) სარეკლამო აბრის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს „ემემ ჯგუფი“ს საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882016835183 07/12/2016, საკადასტრო კოდი N 01.10.06.007.031.03.02.001; იჯარის ხელშეკრულება; მინდობილობა; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქუჩა #16, #16ა კორპუსების მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი, ი პეტრიწის ქუცა #16 და 316ა-ს შორის, შპს „ემემ ჯგუფი“-ს საკუტრებაში არსებული ფართის ფასადზე (მოიჯარე - სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“) სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.